უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	0186, საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 33, ტელ.: (+995 32) 254 24 24, 254 24 50 ფაქსი: (+995 32) 254 24 41, 254 24 51
ელფოსტა	qa-info@tsmu.edu
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	რექტორი ზურაბ ვადაჭკორია, 254 24 44, vadachkoria@tsmu.edu; ვიცე-რექტორი ხათუნა თოდაძე, 254 24 22, khatunatod3009@gmail.com
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	ნინო ჭეჭუბაძე 254 24 66, nvepkhvadze20029@gmail.com
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	

სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომლისთვისაც შესასაბამის წელს მიიღება მაგისტრანტების კანდიდატთა მიღება	სამაგისტრო პროგრამის შესასაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებამიმართულებები	მისაბმეჭდელი კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებული თუ არა	დაფინანსება	სწავლების ენა	მოცულობა კვადრატული	სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული ბიუჯეტი ადგილების რაოდენობა	სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესასაბამისი ტესტის ტიპი			სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები					უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება			იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი	თითოეულ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა	მიმართულებათაშორისი დონეების შესასაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ეროვნულ შეტი ტესტის ტიპის არსებობის შემთხვევაში, უსდ-ს მიერ კოეფიციენტების სამაგისტრო გამოცდისთვის მინიჭებისას პროგრამაზე მინიჭები ადგილების რაოდენობა თითოეული ტესტის ტიპის მიხედვით		
								A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი	ლოგიკა	ანალიტიკური აზროვნება	ანალიტიკური წერა	ანალიტიკური კითხვა	ინტელექტუალური მიუკერძოებლობა	ენა	ფსიქოლოგია	ენა			A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი
1	2	3	4	5	6	7	8	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი	ბიზნესი და ეკონომიკა	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3000	25		B		35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	25			
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	ჯანდაცვა	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3500	25	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	25			
ემბიდემიოლოგია და კლინიკური მედიცინა	ჯანდაცვა	ემბიდემიოლოგიისა და კლინიკური მედიცინის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3000	20	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	20			
ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება	ჯანდაცვა	ჯანმრთელობის ხელშეწყობის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3000	15	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	15			
[illegible]	ბიზნესი და ეკონომიკა	ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3500	20		B		35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	20			
[illegible] ფარმაცია	ჯანდაცვა	საარქივო ფარმაციის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	2900	8	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	8			

ფარმაცევტული ანალიზი	ჯანდაცვა	ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3500	15	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	15			
ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია	ჯანდაცვა	ფარმაცევტული კოსმეტოლოგიის და პარფიუმერიის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3500	7	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	7			
პედიატრიული რეაბილიტაცია	ჯანდაცვა	პედიატრიული რეაბილიტაციის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	3500	5	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	5			
რეაბილიტაციაში მრჩეველი	ჯანდაცვა	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	2900	5	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	5			
რეაბილიტაცია სპორტში	ჯანდაცვა	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	2750	10	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	10			
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა	ჯანდაცვა	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ქართული	4500	15	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	15			
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა	ჯანდაცვა	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი	აკრედიტებული	დიახ	ინგლისური	7000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში	10	A			35	8	10	10	7	65	40	25	სპეციალობა	10			

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დებულების თანახმად, შეგიძლიათ სურვილისამებრ თავად განსაზღვროთ და გაზარდოთ მინიმალური ზღვარი ტესტის ნებისმიერი ნაწილისათვის. ასეთ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილ ტესტის ნაწილებს უნდა მიუწეროთ თქვენ მიერ განსაზღვრული ახალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი პროგრამების მიხედვით. (დებულებით განსაზღვრულია: წაკითხულის გააზრება - 30%; ანალიტიკური წერა - 30%; ლოგიკური მსჯელობა - 30% და რაოდენობრივი მსჯელობა - 25% . იმისათვის, რომ მაგისტრანტობის კანდიდატმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მან უნდა დააგროვოს ტესტის ნაწილისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამის ქულაზე მეტი).					ტესტის იმ ნაწილის/ნაწილების ჩამონათვალი, რომლებშიც მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა გადალახოს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები, რათა უფლება მოიპოვოს, მონაწილეობა მიიღოს კონკრეტული უსდ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში.			
სამაგისტრო პროგრამის დასახელება, სადაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	წაკითხულის გააზრება	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა	წაკითხულის გააზრება	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა
ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი	8	10	10	7	8	10	10	7
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	8	10	10	7	8	10	10	7
ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა	8	10	10	7	8	10	10	7
ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება	8	10	10	7	8	10	10	7
ფარმაციის მენეჯმენტი	8	10	10	7	8	10	10	7
სამრეწველო ფარმაცია	8	10	10	7	8	10	10	7
ფარმაცევტული ანალიზი	8	10	10	7	8	10	10	7
ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია	8	10	10	7	8	10	10	7
პედიატრიული რეაბილიტაცია	8	10	10	7	8	10	10	7
რეაბილიტაციაში მრჩეველი	8	10	10	7	8	10	10	7
რეაბილიტაცია სპორტში	8	10	10	7	8	10	10	7
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (სწავლება ქართულ ენაზე)	8	10	10	7	8	10	10	7
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (სწავლება ინგლისურ ენაზე)	8	10	10	7	8	10	10	7

ანკეტის შევსების თარიღი: 17.02.2017 რექტორი პროფ. ზ. ვადაჭკორია

ზ.ა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	006
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი 0186, საქართველო. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 33. ტელ.: (+995 32) 254 24 24	
ვებგვერდი	www.tsmu.edu
ელ.ფოსტა	qa-info@tsmu.edu
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ვეფხვაძე ნინო, ტელ.: 254 24 66, nvepkhvadze20029@gmail.com

სამაგისტრო პროგრამის დასახელება	მიზანი	სწავლის შედეგი	კრედიტების რაოდ.	ინფორმაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
1. ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი	პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამედიცინო დაწესებულებაში კომპეტენტურად განახორციელონ სამედიცინო ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკური ანალიზი, ორგანიზაციული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მართვის ყველა დონეზე. პროგრამის ამოცანაა მაგისტრანტმა მიიღოს თეორიული და პრაქტიკული მუშაობის ჩვევები მენეჯერული საქმიანობის სფეროში. ამისათვის მაგისტრანტი უნდა დაეუფლოს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, განავითაროს პრობლემის დასმისა და მეცნიერული კვლევის უნარი, შეიძინოს მაღალი პროფესიული ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს მის მუშაობას სამედიცინო ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში.	პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრის საქმიანობის ძირითად შედეგს წარმოადგენს კონკურენტულ გარემოში სამედიცინო ორგანიზაციის მდგრადი ფუნქციონირება და განვითარება, რაც მიიღწევა სამედიცინო სერვისების მომხმარებელთა და ორგანიზაციის ინტერესების პარმონიზაციის საფუძველზე. გარემო პირობების ცვლილების შესაბამისად ჯანდაცვის მენეჯერი ახორციელებს სამედიცინო დაწესებულების ყველა სტრუქტურის საქმიანობის ანალიზს, კოორდინაციას და რეგულირებას, იკვლევს ბაზარს, მის კონიუნქტურას, მოთხოვნილებისა და მოთხოვნის დინამიკას და მათ შესაბამისად განსაზღვრავს სტრატეგიას კონკურენციის პირობებში, ამზადებს წინადადებებს სერვისების განვითარების შესახებ, განსაზღვრავს საფასო პოლიტიკას, ირჩევს განაწილების არხებს სერვისების გასაღებაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით, ახორციელებს კომუნიკაციური პოლიტიკის ფორმირებას, მონაწილეობს დაწესებულების სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის პროგრამის შემუშავებაში, განსაზღვრავს მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობას.	120	25.06.2007 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #10

2. საზოგადოებრივი ჯანდაცვა	პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ ეფექტურად იმუშაონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. კომპეტენტურად შეიმუშაონ, დაგეგმონ და განახორციელონ როგორც პრევენციული და ჯანმრთელობის ხელშემწყობი პროგრამები, ასევე მართონ კურაციული პროგრამები. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრები შეძლებენ აწარმოონ ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებისა და დაწესებულებების მენეჯმენტი. კურსდამთავრებულთა ზემოაღნიშნული აქტივობები საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.	პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება ადეკვატური ცოდნა და უნარ-ჩვევები სხვადასხვა პროფილის ჯანდაცვის პროგრამების შემუშავების, დაგეგმვის და განხორციელებისათვის. შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი შეძლებს იმუშაოს ჯანდაცვის, სოციალური, თუ სხვა სექტორის შესაბამისი პროფილის სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებში, ეროვნულ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში, ჯანდაცვისა და სოციალურ სამსახურებსა და დაწესებულებებში, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებში.	120	05.10.2007 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #2

3. ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა	სამაგისტრო პროგრამის მიზანია ეპიდემიოლოგიასა და გარემოს მედიცინაში (ჰიგიენაში) დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისათვის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სანიტარიული ზედამხედველობის სფეროებში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესიული კადრების მომზადება, რომელიც აკმაყოფილებს ჯანმო-ს მოთხოვნებს, ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის გატარებაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობით.	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრმა უნდა შეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს სათანადო პროფესიული საქმიანობა ჯანმო-ს მოთხოვნების გათვალისწინებით საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სანიტარიული ზედამხედველობის სფეროებში ეპიდემიოლოგიასა და გარემოს მედიცინაში (ჰიგიენაში), რისთვისაც მათ: გააჩნიათ ცოდნა, რომელიც ემყარება და აღრმავებს სწავლების პირველ საფეხურზე მიღებულ განათლებას და ხშირად – კვლევის კონტექსტში უზრუნველყოფს იდეის ორიგინალური განვითარების და გამოყენების საფუძველს ან შესაძლებლობებს; შეუძლიათ ცოდნისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამოყენება ახალ ან უცნობ გარემოში თავიანთ სპეციალობასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში; გააჩნიათ ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლიათ თავი გაართვან სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბონ მოსაზრებები, რომლებშიც მათი ცოდნის გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიც აისახება; შეუძლიათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; გააჩნიათ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.	120	30.03.2009 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/7

4. ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება	თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ცხოვრების წესისა და ჯანმრთელობითი ქცევის საკითხებს. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ახალი მიდგომა ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობითი განათლების პროცესის მართვის და სამართლებრივი გამოცდილების, სოციალური დაცვისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი ჯანმრთელობის ხელშეწყობაში, რომელიც შეძლებს გადაჭრას მოსახლეობის ჯანმრთელობითი ქცევის პრობლემები და შეიმუშავოს სტრატეგიები ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მოსახლეობის გაჯანსაღებაში.	მაგისტრანტი სწავლის პერიოდში უნდა დაეუფლოს პროფესიულ უნარებს და სწავლის დასრულების შემდეგ უნდა იცოდეს: პროფესიული კოდი; ჯანდაცვის სისტემა; ჯანმრთელობის ფილოსოფია და ფსიქოლოგია; სოციალური და კულტურული მახასიათებლების ინტეგრირება; ჩარევის სტრატეგიის შემუშავება; ფსიქოლოგიური და სოციალური თეორიის განვითარება; ქცევითი, მორალური, ემოციური, ფიზიკური სხვადასხვაობის ინტეგრირება; ინდივიდუალური, პიროვნული განვითარების ასპექტები; ჯგუფებთან მუშაობა; კვლევების ჩატარება.	120	23.07.2009 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/14

5. ფარმაციის მენეჯმენტი	პროგრამის მიზანს წარმოადგენს სათანადო კვალიფიკაციის ფარმაცევტული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ პროფესიულად წარმართონ ორგანიზაციული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, მენეჯერული, კომერციული, საექსპორტო და ინფორმაციული საქმიანობა ფარმაციაში; შეიმუშავონ დასაბუთებული რეკომენდაციები დაწესებულების საწარმო-სამეურნეო, საკადრო, ეკონომიკური საქმიანობის საკითხებზე; კომპლექსური კვლევის გათვალისწინებით გააანალიზონ მთლიანი ფარმაცევტული დაწესებულების მუშაობის ხარისხი და კონკურენტუნარიანობის ფაქტორები და წარმოუდგინონ ხელმძღვანელობას მათი გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები; აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფარმაცევტული ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში წამალთა რაციონალური გამოყენების მიზნით.	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრმა უნდა შეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს სათანადო ფარმაცევტული საქმიანობა და მართვა ჯანმო-ს და FIP-ის მოთხოვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით ფარმაცევტულ დაწესებულებებში და ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფარმაცევტული ბიზნესის ადმინისტრირება, მენეჯმენტი, მარკეტინგი, კლინიკური ფარმაცია, ფარმაცევტული ინფორმაცია და ზრუნვა, აგრეთვე ფარმაცევტული და სამედიცინო პროდუქციის ექსპერტიზა.	120	02.06.2008 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/10

6. სამრეწველო ფარმაცია	პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება: ფარმაცევტულ საწარმოში ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოების განახორციელება სათანადო საწარმოო პრაქტიკის წესების მიხედვით; ტექნოლოგიური პროცესების მართვა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის უსაფრთხო ექსპლოატაცია. პროგრამის ამოცანაა მაგისტრანტმა მიიღოს თეორიული და პრაქტიკული მუშაობის ჩვევები ტექნოლოგიაში. ამისათვის უნდა დაეუფლოს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, განავითაროს პრობლემის დასმისა და მეცნიერული კვლევის უნარი, შეიძინოს მაღალი პროფესიული ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს მის პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.	პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეეძლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სუბსტანციების, დამხმარე ნივთიერებების, ტრადიციული, მეორე და მესამე თაობის მზა წამალთფორმების სერიული წარმოება სათანადო საწარმოო პრაქტიკის წესების მიხედვით; ტექნოლოგიური პროცესების მართვა; ფარმაცევტული საწარმოს მართვა, მდგრადი და სტაბილური განვითარება. მაგისტრის კომპეტენცია და უნარ-ჩვევები: ფარმაციის საკანონმდებლო ბაზის (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი ფარმაცევტული პროდუქციის შესახებ, საქართველოს კანონი მეწარმეობის შესახებ) ცოდნა; წამლის შექმნისა და წარმოებაში ჩანერგვის უნარი; ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და სრულყოფის უნარი; ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტური სამკურნალო საშუალებების აფთიაქში დამზადებისა და სერიული წარმოების უნარი; ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის ყველა ასპექტის (დამზადება, შეფუთვა, ეტიკეტირება და აშ) უზრუნველყოფის უნარი; სამკურნალო საშუალებების სტაბილურობის შესწავლისა და ვარგისობის ვადის დადგენის უნარი; ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნოლოგიური პროცესების ჩასატარებლად მათი გამოყენების უნარი; სამკურნალო ნედლეულის, მასალების, მზა სამკურნალო საშუალებების შენახვის პირობების უზრუნველყოფის (სპეციფიკის გათვალისწინებით) და დაცვის უნარი; ტექნოლოგიური აპარატურა-მანქანების უსაფრთხოდ ექსპლუატაციის უნარი; საერთაშორისო სტანდარტების: GMP, GLP და GDP ცოდნა და გამოყენების უნარი; ინფორმაციის წყაროს მოძიების, ანალიზის, შენახვისა და მიწოდების უნარი; ინოვაციური იდეების გენერირებისა და ჩანერგვის უნარი; კვლევითი სამუშაოს ჩატარების უნარი.	120	20.07.2007 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #11

7. ფარმაცევტული ანალიზი	პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ჯანმო-ს GMP, GLP და ISO-ს მოთხოვნებს, იხელმძღვანელებენ კარგი ლაბორატორიული პრაქტიკის პრინციპით, რათა უზრუნველყოფილი იქნას დევიზის განხორციელება: წამალი ხარისხიანი, სათანადო ეფექტის და უსაფრთხო. ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრმა უნდა შეძლოს დამოუკიდებელი საქმიანობა როგორც ფარმაცევტულ, წამლის ხარისხის კონტროლის, ასევე ტოქსიკოლოგიურ, ნარკოლოგიურ და სხვა მსგავსი პროფილის ლაბორატორიებში.	პროგრამის დასრულების შემდეგ ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრს ექნება ადეკვატური ცოდნა და უნარ-ჩვევები ანალიზის მეთოდების შემუშავებასა და განხორციელებაში სხვადასხვა პროფილის კვლევით ინსტიტუტებში, ფარმაცევტულ, ქიმიურ, ტოქსიკოლოგიურ თუ ნარკოლოგიურ ლაბორატორიებში.	120	24.07.2008 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/12

8. ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია	პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება კოსმეტიკური და პარფიუმერული პროდუქციის საჭიროებისამებრ მომზადება და სერიული წარმოება, პაციენტებისათვის ეფექტური, ხარისხიანი და უსაფრთხო დახმარების აღმოჩენა. პროგრამის ამოცანაა მაგისტრანტმა მიიღოს თეორიული და პრაქტიკული მუშაობის უნარ–ჩვევები კოსმეტოლოგიასა და პარფიუმერიაში. ამისათვის უნდა დაეუფლოს კვლევის თანამედროვე მეთოდებს, განავითაროს პრობლემის დასმის, გადაწყვეტის და მეცნიერული კვლევის უნარი, შეიძინოს მაღალი პროფესიული ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს მის პრაქტიკულ და სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას.	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს: მოამზადოს ან აწარმოოს თმის, სახის, სხეულის მოვლის, დეფექტების მაკორეგირებელი სამკურნალო პროფილაქტიკური სამუალებები და პარფიუმერული პროდუქცია. მართოს ტექნოლოგიური პროცესები სათანადო საწარმოო პრაქტიკის წესების დაცვით; პაციენტს აღმოუჩინოს ეფექტური, ხარისხიანი და უსაფრთხო დახმარება, შეურჩიოს პარფიუმერულ–კოსმეტიკური ნაწარმი კანის ტიპის, ასაკის ან დაავადების გათვალისწინებით. მაგისტრის კომპეტენცია და უნარ–ჩვევები: კოსმეტიკურ–პარფიუმერული პროდუქციის შექმნისა და წარმოებაში ჩანერგვის უნარი; ტექნოლოგიური პროცესების მართვის უნარი; ეფექტური, ხარისხიანი და უსაფრთხო კოსმეტიკურ–პარფიუმერული პროდუქციის დამზადებისა და სერიული წარმოების უნარი; კოსმეტიკურ–პარფიუმერულ პროდუქციაზე ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის და სერიული წარმოების დროს მათი გამოყენების უნარი; ტექნოლოგიური აპარატურა–მანქანების უსაფრთხოდ ექსპლოატაციის უნარი; საერთაშორისო სტანდარტების: GMP,GLP და GDP ცოდნა და მათი გამოყენების უნარი; კოსმეტიკურ–პარფიუმერული პროდუქციის ქიმიური შემადგენლობის, დანიშნულებისა და მოქმედების გათვალისწინებით პაციენტებზე ეფექტური, ხარისხიანი და უსაფრთხო დახმარების აღმოჩენის უნარი; ინფორმაციის წყაროს მოძიების, ანალიზის, შენახვისა და მიწოდების უნარი; ინოვაციური იდეების გენერირებისა და ჩანერგვის უნარი; კვლევითი სამუშაოს ჩატარების უნარი.	120	25.01.2008 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #6

9. პედიატრიული რეაბილიტაცია	პედიატრიული რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს სპეციალისტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციისათვის საჭირო ცოდნითა და ახალი პროფესიული უნარ–ჩვევებით.	სწავლების პირველი წლის ბოლოს მაგისტრს უნდა შეეძლოს ბავშვის ზრდა–განვითარების შეფასება და სამედიცინო მეთვალყურეობის მონიტორინგის წარმართვა. ბავშვის ზრდა–განვითარების დარღვევის დადგენა, ბავშვზე დისპანსერული მეთვალყურეობა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძვლის განსაზღვრა. სწავლების მეორე წლის ბოლოს მაგისტრს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეაფასოს ბავშვის ზოგადი მდგომარეობა, განსაზღვროს კერძო სპეციალისტთა კონსულტირების აუცილებლობა, შეადგინოს გამოკვლევის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის გეგმა, განსაზღვროს შშმ ბავშვის სტატუსი და მოამზადოს შესაბამისი დასკვნა, შეურჩიოს სარეაბილიტაციო მკურნალობის კურსი. მას უნდა შეეძლოს ჩაებას შშმ ბავშვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დაგეგმილ სამედიცინო–სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებაში.	120	30.03.2009 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/7

10. რეაბილიტაციაში მრჩეველი	სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაციაში მრჩეველი“ მიზანია, თსსუ-ის დეკლარირებული მისიისა და ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი რეაბილიტაციის პროცესის მართვის, რეაბილიტაციის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისა და რესურსების ეფექტური გამოყენების, უნარშეზღუდულობის სამედიცინო, ფუნქციური და გარემო ასპექტების შეფასების თვალსაზრისით. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დაძლევა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ცოდნის ვალიდურობას და მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე (კომპეტენციის ფარგლებში), მზაობას სადოქტორო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს აკადემიურ პროცესში მონაწილე ყველა მხარის (მაგისტრანტი, აკადემიური პერსონალი), კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა ინტერესებს, ეროვნულ და საერთაშორისო დარგობრივ სტანდარტებს. პროგრამა ხორციელდება ერასმუსის უნივერსიტეტის პატრონაჟით.	მაგისტრი სწავლის პერიოდში უნდა დაეუფლოს პროფესიულ უნარებს და სწავლის დასრულების შემდეგ იცოდეს: პროფესიული კოდი, ჯანდაცვის სისტემა, კანონმდებლობა, ადვოკატირება, რეაბილიტაციის ისტორია და ფილოსოფია, პრაქტიკული რაებილიტაცია, კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების გამოყენება პრაქტიკაში, სოციალური და კულტურული მახასიათებლების ინტეგრირება, ჩარევის სტრატეგიის შემუშავება, ფსიქოლოგიური და სოციალური თეორიის განვითარება, ქცევითი, მორალური, ემოციური, ფიზიკური სხვადასხვაობის ინტეგრირება; პიროვნული განვითარების ასპექტები, კარიერისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონსულტირება და რჩევების შემუშავება; ჯგუფებთან მუშაობა, კვლევების ჩატარება, უნარშეზღუდულობის სამედიცინო, ფუნქციური და გარემო ასპექტების შეფასება. რეაბილიტაციის სამსახურის საქმიანობა და რესურსების ეფექტური გამოყენება.	120	30.04.2009 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/8

11. რეაბილიტაცია სპორტში	სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს სათანადო ცოდნით და პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენთა სამედიცინო რეაბილიტაციისთვის, რომელიც შეისწავლის სპორტული აქტივობის შედეგად განვითარებული დაზიანებების გავრცელებას, დიაგნოსტიკას, სარეაბილიტაციო მკურნალობას, სპორტული ტრავმის პრევენციას, და ამასთანავე უზრუნველყოფს რეაბილიტაციის საჭიროებისა და სარეაბილიტაციო სტრატეგიის განსაზღვრას. დასახული მიზნის მისაღწევად სპორტული რეაბილიტაციის მაგისტრი მიიღებს მრავალკომპონენტიან ცოდნას სპორტული დაზიანებების პრევენციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის შესახებ და შეიძენს შესაბამის უნარ-ჩვევებს. პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტი შეისწავლის სპორტში სამედიცინო რეაბილიტაციის პრინციპებს, ვადებს, ჩვენებებს, მოსალოდნელ სამედიცინო გართულებებს და დაზიანებამდელი მდგომარეობის აღდგენის თანამედროვე სტრატეგიებს. პროგრამაში წარმოდგენილი კომპეტენციები ითვალისწინებს როგორც ეროვნული, ისე ევროპული სტანდარტების მოთხოვნებს სამედიცინო რეაბილიტაციის მულტიდისციპლინური, გუნდური მიდგომის იმპლემენტირებასთან დაკავშირებით.	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს: სხვადასხვა ასაკის სპორტსმენის ზოგადი მდგომარეობის შეფასებას; სპორტსმენის საყრდენ–მამოძრაებელი სისტემის მდგომარეობის და ფიზიკური შრომისუნარიანობის შეფასებას; სპორტული დაზიანების შეფასებას; რეაბილიტაციის გეგმის შედგენას; კერძო სპეციალისტის კონსულტაციის საჭიროების განსაზღვრას; მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დაგეგმილი სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებას; საყრდენ–მამოძრავებელი სისტემის დაზიანების დადგენას და შესაბამისი სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პრევენციული პროცედურების დაგეგმვას და ჩატარებას; ძირითად ორგანოთა და სისტემების მდგომარეობის შეფასებას; გულ–სისხლძარღვთა სისტემის ზოგადი მდგომარეობის დადგენას, ფუნქციური სინჯის ჩატარებას, სარეაბილიტაციო და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას; სპორტული დაზიანების ქირურგიული მკურნალობის შემდგომი სარეაბილიტაციო პროცედურების დაგეგმვაში მონაწილეობას და მათ განხორციელებას; გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას სპორტული აქტივობისას განვითარებული საგანგებო სამედიცინო სიტუაციების დროს; სათანადო რეკომენდაციების მომზადებას სასუნთქი, ნერვული, და საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევების დროს; პარაოლიმპიურ ან ადაპტიურ სპორტში ჩართულ სპორტსმენთა ფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას; სპორტსმენთა კვების და სითხის ბალანსის მენეჯმენტს; სპორტულ ფარმაკოლოგიასა და დოპინგის საკითხებზე რეკომენდაციის მომზადებას და საგანმანათლებლო აქტივობას.	120	18.12.2013 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/3

12. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (სწავლება ინგლისურ ენაზე)	პროგრამის მიზანია პროფესიონალების მომზადება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტსა და ჯანდაცვის პოლიტიკაში, რომლებსაც შეეძლებათ საერთაშორისო ასპარეზზე ლიდერის როლების შესრულება მოწინავე სერვისების განვითარებაში, კვლევებში, პრაქტიკაში, პოლიტიკასა და ჯანდაცვის სისტემურ ანალიზში.	პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი კომპეტენციები: ზოგადი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება: ნაციონალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონცეფციების ღრმა გაცნობიერების დემონსტრირება. ფაქტებზე დამყარებული მედიცინის და მისი კვლევასა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრაქტიკაში გამოყენების ღირებულების პროფესიული გაცნობიერება. გლობალური დაავადებების სოციოეკონომიკური, კულტურული, სამედიცინო და ეკოლოგიური დეტერმინანტების ღრმა გაცნობიერება. მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის, ჯანმრთელობისა და დაავადების დეტერმინანტების, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და დაავადების პრევენციის ხელშემწყობი ფაქტორების და ჯანმრთელობის სერვისების უტილიზაციაზე მოქმედი პირობების განსაზღვრა, შეფასება და გაცნობიერება.	120	26.09.2014 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/1

	პროგრამის ფარგლებში შეისწავლება თანამედროვე ხელმძღვანელობის, განათლების, კვლევის და მომსახურების მიწოდების საკითხები საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში რეგიონულ, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეებზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ფართე საფუძვლისა და ოთხ მაკროსპეციალობაში (გლობალური ჯანმრთელობა, ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, ქცევითი მეცნიერებები და ჯანმრთელობის განათლება, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისიკა) მომზადების კომბინაციით.	• მოსახლეობის ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემების და უთანასწორობების ეტიოლოგიას, ინციდენტობასა და პრევალენტობაზე მოქმედი ფაქტორების გაცნობიერება. • ჯანდაცვის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მომსახურების საჭიროებას, მოთხოვნასა და უტილიზაციაზე მოქმედი ფაქტორების გაცნობიერება. • ჯანდაცვის ეკონომიკის ძირითადი კანონების ცოდნა, საბაზრო ძალებისა და ჯანდაცვის დაფინანსების გზების გაცნობიერება. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება • რაოდენობრივი, თვისობრივი და ოპერატიული კვლევების უნარების გამოყენება საერთაშორისო ჯანმრთელობის პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტების იდენტიფიცირების მიზნით სარწმუნო და ვალიდური კვლევების ჩატარებისთვის. • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ბაზისური მეცნიერებების გამოყენება დაავადებათა პრევენციისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პრომოციისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში. • ჯანმრთელობის სერვისების ფინანსირებასა და ორგანიზაციაზე მოქმედი ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და რეგულატორული ფაქტორების შესახებ ცოდნის გამოყენება. • ჯანმრთელობისა და დაავადების სოციო-ეკონომიკური, ქცევითი, ბიოლოგიური და საზოგადოებრივი დეტერმინანტების გაცნობიერების გამოყენება პრაქტიკაში.			

	ძირითადი აქცენტი გაკეთდება დაბალ– და საშუალო–შემოსავლიან ქვეყნებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერებაზე.	· გუნდზე ორიენტირებული და კულტურულად ადეკვატური ლიდერული უნარების გამოყენება ნაციონალურ და გლობალურ არენებზე ჯანმრთელობის პრობლემების გადაყვეტისთვის ფაქტებზე–დამყარებული პოლიტიკისა და გეგმების ადვოკატირებაში. დასკვნის უნარი (კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაწყვეტა) · გლობალურად, „ჯანმრთელობა ყველასათვის" – მიზნის მისაღწევად საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს მოთამაშეების როლის ანალიზი და ინტერპრეტაცია. · ჯანდაცვის ნაციონალური სისტემების კრიტიკული შეფასების და შედარებითი ანალიზის ჩატარების უნარი. კომუნიკაციის უნარი · ადგილობრივ თემებში დაავდებათა პრევენციისა და ქცევის პოზიტიური ცვლილებისათვის „ინფორმაცია, განათლება, კომუნიკაცია"–ის ეფექტური ინტერვენციების განვითარება. · სხვადასხვა კულტურული, სოციალურ–ეკონომიკური, განათლების და პროფესიული სტატუსის, ასაკის და ცხოვრების სტილის პრეფერენციების მქონე ადამიანებთან სენსისიტიური, ეფექტური და პროფესიული ურთიერთქმედება. · საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციფიური პრობლემებისა და საკითხების მოსაგვარებლად მრავალდისციპლინური ჯგუფების ხელმძღვანელობა და მათში მონაწილეობა.		

	პროგრამა ერთობლივად მომზადდა და განხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა (თბილისი, საქართველო) და UniMan, მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია (გრენობლი, საფრანგეთი) მიერ. კურსდამთავრებულებს ორივე დაწესებულების მიერ მიენიჭებათ მაგისტრის ხარისხი და მიეცემათ ორი დიპლომი საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ აღიარებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.	• საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამებისა და რესურსების ეფექტური ადვოკატირება. სწავლის (ათვისების) უნარები • სწავლის პროცესის ეფექტური მართვის, თეორიული კომპონენტების, კვლევითი საკითხების, ინოვაციების და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის, უახლესი მეთოდოლოგიებისა და კვლევების საფუძველზე საკუთარი ცოდნის გაფართოების, პირველადი წყაროების, აკადემიური სტატიების, რეალური მაგალითების და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების გენერალიზებული ანალიზის უნარები. ღირებულებები (ბიოსამედიცინო ეთიკა/სოციალური პასუხისმგებლობა) • ეთიკური დილემების იდენტიფიკაცია და შესაბამისი ქმედებების განხორციელება სხვათა და საზოგადოების კეთილდღეობის გათვალისწინებით. • ორგანიზაციებსა და საზოგადოებაში ლეგალური და სოციალური პასუხისმგებლობების განვითარება და გაცნობიერება. დარგობრივი კომპეტენციები • ეპიდემიოლოგიური მეთოდების გაცნობიერება და ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგების ეფექტური გამოყენების უნარი ჯანმრთელობის პოლიტიკასა და დაგეგმარებაში. • მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების მეთოდების ფლობა და მონაცემზე-დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების მიდგომების ჩამოყალიბება. • ბიოსტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტების ფლობა. • ნაციონალურად და გლობალურად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმულირების, კომუნიკაციის და განხორციელების კომპეტენციები. • საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემების ფუნქციონირების კანონიერი საფუძვლების და ჯანმრთელობის უფლების სათანადო აღიარება.			

		• საზოგადოებრივი ჯანმრთელობის/ჯანდაცვის დაწესებულებების, მოსახურების მიწოდების დონეების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა. • ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნაციონალური და გლობალური პროგრამების/პროექტების განხორციელების პრაქტიკული ინსტრუმენტების ფლობა. • იმ ფაქტორების იდენტიფიცირება და ანალიზი, რომლებიც იწვევენ სიღარიბეს, უთანასწორობას და დაავადებას. დაავადების ძირითადი დეტერმინანტების აღწერა დაბალ– და საშუალო–შემოსავლიან ქვეყნებში. ადამიანის უფლებებზე, ჯანმრთელობის უფლებასა და ბიოეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრომოციისთვის თემის მობილიზების უნარების, პოლიტიკის ადვოკატირების და კომუნიკაციური სტრატეგიების გამოყენება. • მაღალი სიკვდილობისა და ავადობის ხელშეწყობი ჯანმრთელობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების აღწერა. ჯანმრთელობის სტატუსში უთანასწორობის აღწერა სქესის, რასის, ცხოვრების სტილისა და ეკონომიკური სტატუსის მიხედვით.		

		· დაბალი ეკონომიკური განვითარების გარემოში ჯანმრთელობის წამყვანი პრობლემების მოსაგვარებლად განკუთვნილი საზოგადოებრივ ჯანმრთელობითი ინტერვენციების ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასება. · დაბალი ეკონომიკური განვითარების გარემოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად პრიორიტეტების შეფასება და განვითარება. · ადგილობრივ ორგანიზაციებთან ახლო თანამშრომლობით განვითარებად ქვეყნებში ჯანდაცვის თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პროგრამების დიზაინი, მართვა და შეფასება. · ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და აკადემიური პირობების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რომლებსაც განვითარებად ქვეყნებში შეუძლია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში ეფექტური საკადრო რესურსის ჩამოყალიბებას.		
13. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტი და ჯანდაცვის პოლიტიკა (სწავლება ქართულ ენაზე)	" _____ "	" _____ "	120	25.02.2016 წ. თსსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #24/6

ანოტაციის შევსების თარიღი 2/17/2017

რექტორი პროფ. ზ. ვადაჭკორია

შენიშვნა: